



# დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა GAMGEOBA OF DUSHETI MUNICIPALITY



დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 1286

ქ. დუშეთი

19 ნოემბერი 2015 წ.

## გამგეობის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის და მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 56-ე მუხლის, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის N25 დადგენილებით დამტკიცებული დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დანართის შესაბამისად;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 29 ოქტომბრის N1163 ბრძანება „გამგეობის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“;
3. ბრძანება გასაცნობად განთავსდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე (dusheti.org.ge);
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17).



დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი:

/ვ. ჩოხელი/

## დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

### 1. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შედგება მინიმალური და სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნებისაგან;

2. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება კონკურსის და ატესტაციის პროცესში მოხელის (კანდიდატის) პროფესიული ცოდნის და უნარების შეფასებისათვის.

### 2. მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები საერთოა და სავალდებულოა კონკურსს (ატესტაციას) დაქვემდებარებული ყველა საჯარო მოხელისათვის;

2. მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები გულისხმობს საშუალო განათლების, ქართულ ენაზე გამართული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარის ქონას და შემდეგი საკითხების ცოდნას:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;

გ) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

დ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

ე) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

ვ) დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების ცოდნა;

ზ) დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების - გამგეობის სამსახურების დებულებების ცოდნა;

თ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Internet Explorer) სამომხმარებლო დონეზე ცოდნა;

ი) უნარ-ჩვევები (გუნდური მუშაობის უნარი, კომუნიკაბელურობა, ექსტრემალურ სიტუაციებში გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი, საქმიანობის შედეგზე ორიენტირებულობა და ა.შ.)

### 3. სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების გარდა გამგეობის ცალკეული თანამდებობებისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც:

ა) მინიმალური განათლება:

ა.ა) გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსის და გამგებლის თანაშემწის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია უმაღლესი განათლება, არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ა.ბ) ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის და ამავე განყოფილების მოხელის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია უმაღლესი განათლება სამართლის სფეროში, არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (სამართლის ბაკალავრი, სამართალმცოდნე, იურისტი ან/და სხვა მსგავსი კვალიფიკაცია);

ბ) სამუშაო გამოცდილება:

ბ.ა) გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსის და გამგებლის თანაშემწის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მუშაობის არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება, ან მსგავს პოზიციაზე (მსგავსი სპეციალობით) მუშაობის არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება;

გ) დამატებითი ნორმატიული აქტების ჩამონათვალი:

გ.ა) გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსს და ამავე განყოფილების მოხელეებს მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნით განსაზღვრულ აქტებთან ერთად მოეთხოვებათ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის ცოდნა;

გ.ბ) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების უფროსს და ამავე განყოფილების მოხელეებს მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნით განსაზღვრულ აქტებთან ერთად მოეთხოვებათ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ცოდნა;

გ.გ) გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების უფროსს და ამავე განყოფილების მოხელეებს მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნით განსაზღვრულ აქტებთან ერთად მოეთხოვებათ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანების ცოდნა;

გ.დ) გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის მოხელეებს მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნით განსაზღვრულ აქტებთან ერთად მოეთხოვებათ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, ასევე „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7

აპრილის N9 ბრძანებისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების ცოდნა;

გ.ე) გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის მოხელეებს მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნით განსაზღვრულ აქტებთან ერთად მოეთხოვებათ „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის ცოდნა;

გ.ვ) სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მოხელეებს მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნით განსაზღვრულ აქტებთან ერთად მოეთხოვებათ „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების ცოდნა;

2. სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები ავსებს/აზუსტებს მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

4. მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის და მოხელის ატესტაციის ტესტირების მინიმალური გამსვლელი ზღვარი

დუშეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის და მოხელის ატესტაციის ტესტირების მინიმალური გამსვლელი ზღვარი განისაზღვროს სწორი პასუხების 55%-ით;